სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ ელენე ღუბიანურს

ქალბატონო ელენე,

გაცნობებთ, რომ 2025 წლის 13 მარტს, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის N1681 ბრძანების შესაბამისად, „საკაძის“ კონგლომერატის გამოვლინებაზე, შპს „მინერალზე“ (ს/ნ 404940926) გაიცა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია.

კანონის მოთხოვნის გათვალისწინებით, შესაბამისი ლიცენზიის გაცემამდე, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყო სკრინინგის პროცედურის გავლა და „გარდაბნის მუნიციპალიტეტში, მარტყოფის ადმინისტრაციულ ერთეულში, 92160 m^2 ფართობის მქონე ტერიტორიაზე, 921600 m^3 კონგლომერატის (სხვა საშენი მასალა) ღია კარიერული წესით მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2024 წლის 30 ოქტომბრის N612/ს ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად, საქმიანობა დაექვემდებარა გზშ-ის პროცედურას.

შპს „მინერალმა“ გზშ-ს პროცედურის ჩასატარებლად, უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშის მომზადება, რომელიც სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით 2025 წლის 4 ივლისს წარდგენილი იქნა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში, რაზედაც, „გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფის მიმდებარედ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე (კონგლომერატის მოპოვება) სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2025 წლის 25 აგვისტოს N448/ს ბრძანების შესაბამისად გაცემული N57 დასკვნა.

ზემოაღნიშნული სკოპინგის დასკვნისა და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის გათვალისწინებით, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ შესაბამის დოკუმენტაციას.

ამასთან, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილისა და ჩვენს მიერ წარმოდგენილი დაჩქარებული წესით მომსახურების გაწევის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტის საფუძველზე, გთხოვთ უზრუნველყოთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების დაჩქარებული წესით გაცემა.

დანართი:

1. „გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფის მიმდებარედ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების (კონგლომერატის მოპოვება) პროექტის გზშ-ის ანგარიში - 1 ეგზ. ნაბეჭდი ვერსია;
2. „გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფის მიმდებარედ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების (კონგლომერატის მოპოვება) პროექტის არატექნიკურ რეზიუმე - 1 ეგზ. ნაბეჭდი ვერსია;
3. საჯარო დასამეწარმეო რეესტრის ამონაწერები - 1 ეგზ. ნაბეჭდი ვერსია;
4. საბადოს დამუშავების პროექტი - 1 ეგზ. ნაბეჭდი ვერსია;
5. რეკულტივაციის პროექტი - 1 ეგზ. ნაბეჭდი ვერსია;

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
"07" 10 2025 წ.
№ 9791

6. საბადოს განთავსების ტერიტორიის GIS კოორდინატებს shp ფაილების სახით და 1-5 პუნქტებში მოცემული დოკუმენტების ელ. ვერსიას - 1 CD;
7. გზშ-ს მოსაკრებლის გადახდის ქვითრის ასლი;
8. **გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების დაჩქარებული წესით მომსახურების გაწევის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და ინვოისი.**

შპს მინერალის დირექტორი

კახა მუხიგული